მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ჩატარებული ღონისძებების ნუსხა

1. მარტის თვეში მუზეუმის დირექციის და თანამშრომლების მიერ მოეწყო გასვლითი ღონისძიება ჩუკულის ძველი სვანური სახლ-მუზეუმის აღსაწერად და მისი სამუზეუმო ფილიალად მოსამზადებლად თანამშრომლების მზია მეშველიანის მარიეტა ნემსაძის , ნათია ფარჯიანისა და გურამი ონიანის მიერ მოხდა სახლისა და მასში არსებული ძველი საყოფაცხოვრებო ნივთების ზედაპირული დათვარიელება .შედგა შეთანხმება სახლის მესაკუთრე ი.ონიანთან ძველი სვანური სახლის სამუზეუმო ფილიალად ჩამოყალიბების შესახებ .
2. აპრილის თვეში მოეწყო ნ.ყენიას ფოტო რეპროდუქციული ნამუშევრების - ქვემო სვანეთის ტაძრების ფრესკული მოხატულობის ფოტო მასალების გამოფენა . გამოფენა გრძელდებოდა ერთი კვირის განმავლობაში .
3. მაისის თვეში ჩატარდა ღონისძიება მუზეუმის საერტაშორისო დღესტან დაკავშირებით „ღამე მუზეუმში" გაგრძელდა ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდა აქტივობები :
   3.1 თემატური საღამო სამუზეუმო ნივთი და მისი მნიშვნელობა.
   3.2 ჩვენი კუთხის საამაყო შილების გაცნობა .
   3.3 მ.მუკბანიანის და რ.ონიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა .საღამოზე მოწვეული იყვნენ სკოლამდელი აღსაზრდელებიც . ბავშებს მიეცათ საშუალება გასაფერადებელ ფურცლებზე მუშაოების .
   3.4 სარამოზე მოწვეული იყვნენ უხუცესები: მიქე ჩანქსელიანი, ბიჭიკო მეშელიანი, ჯუმბერ მუკბანიანი და დიმიტრი ლიპარტელიანი , მათ მოგვასმენინეს წინაპრებიდან გადმოცემული სვანეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი საინტერესო მოგონებები .
   3.5 პოეტ მალვინა მუკბანიანის ლექსების განხილვა მისი მონაწილეობით .
   3.6 ნათია ფარჯიანისა და მზია მეშველიანის თემების განხილვა - „მახვშის ინსტიტუტი სვანეთში „
   3.7 ანსამბლების „ლაგუშედა „ და „ლილე"-ს ფოლკლორული სარამო .

4. ჩატარდა 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება .
5. ივნისის თვეში ჩატარდა ხათუნა მეშველიანის შემოქმედებითი საღამო . სიმღერებისა და მოგონებების ფონზე ავტორმა წაიკითხა საკუთარი ლექსები .
6. ივლისის თვეში მოვაწყვეთ სვანური კულინარიის ფესტივალი . სვანი დიასახლისების და თანამშრომლების მიერ გამოტანილ იქნა კუტხური ნაწარმი : ფეტვის პური ,ჭიშდვარი, კუბდარი,ქინშარი,ლობიანი ყველით.
7. აგვისტოში მოეწყო ხეზე კვეთის ოსტატის ბაჩო ლიპარტელიანის ნაკეთობების გამოფენა.
8. სექტემბერის თვეში დაგეგმილი ღონისძიება - „ შემოდგომის ფესტივალი „ გადაიდო ოქტომბერში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ლ. მუსელიანის სახელობის

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი : ი.ონიანი